პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 66 (4316)

1971 წ.
4 აპრილი,
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოჰ, ეს ერთი შაიბა!

ჟენევა, 2 აპრილი. ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში დღეს გაიმართა ერთი შეხვედრა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო ადგილის ბედის გარკვევისთვის: ყინულის მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გფრ-ის გუნდები. ამერიკელებმა რევანში აიღეს პირველ წრეში დამარცხებისთვის და გაიმარჯვეს — 5:1. ერთი შაიბაც რომ გაეტანათ, ისინი გერმანელებს ჩამოიტოვებდნენ. ახლა შაიბების სხვაობაა 8:7 გერმანელთა სასარგებლოდ, მათი თანაბრობის შემთხვევაში კი ძალაში შევიდოდა წესი, რომლის მიხედვითაც უპირატესობა შაიბების უკეთესი საერთო ბალანსის მქონე გუნდს ექნებოდა. ასე რომ, ამერიკელები გაისად თავიანთ ადგილს შვეიცარიელ ჰოკეისტებს დაუთმობენ.



სურათზე: საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. საბჭოთა ჰოკეისტი ბ. მიხაილოვი უტევს კ. ვეტცელის (მარჯვნივ) კარს. მარცხნივ თქვენ ხედავთ ამერიკის გუნდის მცველს დ. როსს. მეორე წრეში გამართული ეს შეხვედრა, როგორც ცნობილია, საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს ანგარიშით 7:5.

ვ. უნ და-სინის ფოტო, (საკდეპი).

გათამაშების ცხრილი

მსოფლიო ჩემპიონატი

მდგომარეობა 3 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	9	7	1	1	71—21	15
ჩეხოსლოვაკია	9	6	1	2	40—18	13
შვედეთი	9	5	1	3	26—27	11
ფინეთი	9	4	1	4	29—38	9
გფრ	10	2	0	8	22—62	4
აშშ	10	2	0	8	31—53	4

ციური კობაიძე — „დინამოს" ჩემპიონი

ლიეპაია, 3 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა „დინამოს". მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. I-II ადგილები გაიყვეს თბილისელმა ოსტატმა ც. კობაიძემ და ი. ოხტრიმ (უკრაინა)— 9,5-9,5 ქულა 11-დან. კოეფიციენტთა ცხრილით I ადგილი და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი ქართველ მოჭადრაკეს მიენიჭა.

III ადგილი ხვდა მოსკოველ ოსტატ ნ. ტიტორენკოს — 8,5. სამივე მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXXI ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში.

ვ. ფამილიანტი.

ფხაკაძე, ტულუში, გუდაშვილი...

ფეოდოსია, 2 აპრილი. მძლეოსნობის მოყვარულთათვის, რომლებიც „სპორტის დედოფლის" ერთ-ერთი ურთულესი სახეობის — სპორტული სიარულის განვითარებას ადევნებენ თვალს, 33 წლის ბელორუსიელი ათლეტის, გროდნოელი ე. ივჩენკოს სახელი დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ ამ გამოცდილმა ოსტატმა მხოლოდ ახლა მიაღწია შედეგს, რომელმაც იგი მსოფლიოს სპორტულ მოსიარულეთა ავანგარდში დააწინაურა: დინამოელთა საკავშირო საგაზაფხულო შეჯიბრებაში მოასპარეზე ივჩენკომ 20 კმ (50 წრე სტადიონის ბილიკზე) 1 საათში, 25 წუთსა და 52 წამში დაფარა. ეს 21,2 წამით სჯობს სსრ კავშირის ოფიციალურ რეკორდს, რომელიც 1959 წელს დაამყარა ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა ვ. გოლუბნიჩიმ.

ძველ საკავშირო რეკორდს „აჯობა" II ადგილზე გასულმა ვ. დემანოვმაც (რიაზანი)—1:26.10,8. მესამე პრიზიორი გახდა ცნობილი მოსკოველი ოსტატი ე. ლიუნგინი — 1:27.38,0.

ბრწყინვალედ მომზადებულ „დინამოს" სტადიონზე მაღალი შედეგებით კიდევ რამდენიმე ათლეტმა გაგვახარა. გომელელმა ა. შჩუპლიაკოვმა 70,76 მეტრზე ტყორცნა ურო. თავი გამოიჩინა 19 წლის თბილისელმა ი. ფხაკაძემ: ამ ნიჭიერმა ჭაბუკმა საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 67,44 მ. ურო ძველ რესპუბლიკურ რეკორდზე 20 სანტიმეტრით შორს გაფრინდა.

ქალთა შორის შუბის ტყორცნაში ყველას აჯობა კაუნასელმა ი. პუტინენემ — 54,28 მ. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში.

დინამოელთა საკავშირო შეჯიბრება დღეს მტყორცნელებმა დაამთავრეს. ამ სახეობაში თავი გამოიჩინეს საქართველოს წარმომადგენლებმა: ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ლ. ტულუშმა (53,38 მ), ხოლო ვაჟებში — მისმა თანაქალაქელმა, სსრ კავშირის ექსრეკორდსმენმა გ. გუდაშვილმა — 56,16 მ.

დღის წესრიგშია სპარტაკიადისთვის მზადება

ამას წინათ ბათუმში გაიმართა საქართველოს V სპარტაკიადის აჭარის საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. სპორტსმენთა მზადების შესახებ ინფორმაციებით გამოვიდნენ: „განთიადის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კვაჭაძე, „სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჭოჭუა, სტუდენტთა სპორტკლუბის თავმჯდომარე გ. კოზმოვი, „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვ. იორამშვილი, „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე თ. ბოლქვაძე. მათ გულახდილად ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა სპარტაკიადისთვის მზადების საქმეში, დასახეს კონკრეტული ამოცანები და ღონისძიებანი.

განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს მხტომელები, ცხენოსნები, ფრენბურთელი ვაჟები და ხუთჭიდელები. მზადების ცალკეულ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ, განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ და სხვ.

საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა შეაჯამა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. უკლებამ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოპლატაძემ, აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. ეკიზაშვილმა, საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. სარიშვილმა და საქართველოს საზღვაო სანაოსნო სამმართველოს უფროსმა ა. კაჭარავამ.

ო. მურვანიძე.

ბათუმი. **(ჩვენი კორ.).**

V სპარტაკიადა
1971

მეცხრედ!

ლენინგრადი, 1 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. მოსკოვის დინამოელებს ჩემპიონობა ვადამდე ჰქონდათ განაღდებული, მაგრამ ბოლო მატჩიც მაღალ დონეზე ჩაატარეს და დაამარცხეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი"—3:1. ამრიგად, მათ მეცხრედ მოიპოვეს სსრ კავშირში უძლიერესთა სახელი. უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობნენ კიეველები.

აი, გათამაშების საბოლოო ცხრილი:

	თ.	მ.	წ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	21	19	2	19
„ლოკომ." (მოსკოვი)	21	16	5	16
„ბურევესტ". (ოდესა)	21	15	6	15
ცსკა	21	10	11	10
„ბურევესტ". (ლენ.)	21	10	11	10
„დინამო" (კრასნოდ.)	21	8	13	8
„ნევთჩი" (ბაქო)	21	4	17	4
„ბურევესტ". (კიევი)	21	2	19	2

● **ჰანაუ (გფრ), 1 აპრილი.** ღია ცის ქვეშ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მძლეოსანთა აქ გამართულ ერთ-ერთ პირველ შეჯიბრებაში ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა უ. ბაიერმა 73,70 მეტრზე ტყორცნა ურო. 26 წლის ათლეტის ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● **მურმანსკი, 2 აპრილი.** დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის მოთხილამურეთა ჩემპიონატი. ასპარეზობის პროგრამის ბოლო სახეობა 50 კილომეტრზე რბოლა იყო. ოქროს მედალი მოიხვეჭა ყაზახეთის ქალაქ რუდნის წარმომადგენელმა ი. გარანინმა — 3:02.34,3. II ადგილზე გავიდა მოსკოველი ფ. სიმაშოვი — 3:02.50,7. ბრინჯაოს მედალი ხვდა ასევე მოსკოველ ვ. ვედენინს — 3:04.21,0. წინადღით გამართულ 4X5 კილომეტრზე ქალთა ესტაფეტაში გამარჯვებული „ტრუდის" (ლენინგრადელი ნ. ფიოდოროვა, გორკელი ა. ოლიუნინა, იჟევსკელი გ. კულაკოვა და აპატიტელი ლ. მუხაჩოვა) დრო 1:26.07,0. ვერცხლის მედლები საბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა მოიგეს — 1:28.05,0. ბრინჯაო სპარტაკელებს ხვდათ — 1:28.09,0. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა „ტრუდმა". II ადგილზე გავიდა შეიარაღებული ძალების კოლექტივი, III — დინამოელთა ნაკრები.

ისელიძის მარჯვე ნატყორცნი

ძერჟინსკი, 3 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დაიწყო „ა" კლასის პირველი ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობენ მოსკოვის ოლქის, მოსკოვის, კიევისა და თბილისის დინამოელები, ლენინგრადის „ბალტიკა".

პირველ მატჩში მოსკოველი მსაჯის ი. სომოვის ნიშანზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი და კიეველი თანაკლუბელები. თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით. თბილისელთა ერთ-ერთი შეტევისას კიეველთა კარის წინ აღმოჩნდა ერაძე, რომელმაც ანგარიში გახსნა. ოციოდე წამის შემდეგ კიეველებმა წონასწორობა აღადგინეს.

პირველი პერიოდის დასასრულს თბილისელებს დაწინაურების საშუალება მიეცათ, მაგრამ ისელიძემ ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო. თანაგუნდელის შეცდომა გამოასწორა კურტანიძემ, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა.

ერთწუთიანი შესვენების შემდეგ ბრძოლა კვლავ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა, რომ თბილისელები სჯობდნენ მეტოქეს. კიეველებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ უმანკიშვილი წამით გაექცა მეურვეს და ჩვენები კვლავ დაწინაურდნენ — 3:2. მერე თბილისელთა შეცდომით ისარგებლეს კიეველებმა და ანგარიში გახდა 3:3. შემდეგ ისელიძემ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო. კიეველებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში და, როცა თამაშის დამთავრებას თითქმის არაფერი უკლდა, ისელიძემ შორიდან გაიტანა გამარჯვების გოლი — 5:4. თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს. შარშანდელ ჩემპიონატში მათ კიეველებთან ორივე შეხვედრა ფრედ დაამთავრეს, ამ მატჩში კი კიეველებს ოთხჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ თბილისელთა თავგამოდებული თამაშის გამო ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს მიზანს.

„ბალტიკამ" მოუგო მოსკოვის ოლქის „დინამოს" — 5:4.

ზ. ჯაფარიძე.

• • •

დნეპროპეტროვსკი, 3 აპრილი. გუშინ აქ დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის ტორპედოელები — 4:2, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა სძლიეს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდს — 6:3.

ისვენებდა ალმა-ათის „დინამო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი ნაყოფის ღონიერი ყლორტები

როცა რომელიმე მწვრთნელზე, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელზეა ლაპარაკი, პირველ ყოვლისა მისი შრომის ნაყოფს ითვალისწინებენ. მწვრთნელს ამაგი ადრე თუ გვიან აუცილებლად დაუფასდება, ვინაიდან მას საქმე აქვს ცოცხალ ადამიანებთან, რომლებიც ყველაფერს ხარბად ისმენენ, ითვისებენ, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, მიღებულ ცოდნას სააშკარაოზე გამოიტანენ.

რაც უფრო მეტია ცოდნის წყურვილი, რაც უფრო დიდია და ყოვლისმომცველი აღმზრდელის შემოქმედებითი აქტიურობა, მით უფრო სრულყოფილია შედეგიცა და გაწეული შრომის ხარისხიც. სპორტში ჩემპიონები ისე, სხვათა შორის არ იბადებიან. არც ტალანტები ცვივიან ციდან. ყოველი გამარჯვების, ყოველი წარმატების მიღმა იმალება სპორტსმენისა და მწვრთნელის მძიმე შრომა და, რა თქმა უნდა, საქმის სიყვარული, ოღონდ ალალი, უანგარო და თავდადებული.

გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატში (დირექტორი დ. ფავლენიშვილი) კლასიკური ჭიდაობა ყამირზე აღმოცენდა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვ. მაისურაძის საქმიანობა თავდაპირველად ბევრს ქარის წისქვილთან ლამანჩელი გმირის ბრძოლას აგონებდა. ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფეროში მაისურაძეს მართლაც რკინის ნერვები და უტეხი ნებისყოფა აღმოაჩნდა. მერე კი, როცა ყამირი გატყდა და ნაყოფმა პირველი ყლორტები გამოიღო, მწვრთნელს დაუჯერეს, ყური დაუგდეს და მიულოცეს კიდეც პირველი წარმატებები.

ერთი სიტყვით, გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატში კარგა ხანია არსებობს ჭაბუკ „კლასიკოსთა" ჯგუფი, რომელსაც კრუხივით დასტრიალებს თავს ჩვენი ნაცნობი მაისურაძე. მართალია, ეს ჯგუფი დღესაც მხოლოობით რიცხვშია, მაგრამ თავისი წარმატებებით, ვისაც გნებავთ, იმას შეეჯიბრება. ამ ჯგუფში აღიზარდა სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის თ. ლეჟავა. აქ ეზიარნენ უმაღლეს საჭიდაო ოსტატობას საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორები მ. სალაძე და ნ. დოლიძე. არიან კიდევ ეგრეთ წოდებული პოტენციური ჩემპიონები, რომლებიც მორჩილად უცდიან თავიანთ რიგსა და ჯერს.

მაგრამ სკოლა-ინტერნატის ჯგუფი რაღაც გაურკვეველი ადმინისტრაციული შეზღუდვების გამო ჰაერშია გამოკიდებული როგორც ყველასგან განცალკევებული, დამოუკიდებელი ერთეული. მას საშუალება არა აქვს ცალკე გავიდეს საკავშირო სარბიელზე, ამიტომ ხან ერთ სპორტსაზოგადოებას მიეკედლება, ხან მეორეს. შეზღუდვას, რომელიც ინტერნატის ჭაბუკებს გზას უღობავს დიდი სპორტისკენ, ალბათ აქვს რაღაც ადმინისტრაციული გამართლება. ჩვენ ამაში არავის ვედავებით, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ შექმნილ მდგომარეობას რაღაც გამოსავალი უნდა მოეძებნოს?

ჩვენი წინადადება ასეთია: რომელიმე სპორტსაზოგადოებამ აიღოს შეფობა ინტერნატელებზე. ეს ჭაბუკებსაც ხელ-ფეხს გაუხსნის და, ვფიქრობთ, არც სპორტსაზოგადოება დარჩება განაწყენებული. კარგ შედეგებზე და ჩემპიონებზე აბა ვინ იტყვის უარს? იურიდიულად შეფობის ყველაზე მეტი უფლება „კოლმეურნეს" აქვს და, თუ იგი ამ კეთილ საქმეს თავს დაადგამს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ახლა ორიოდე სიტყვა ერთ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე, რომელიც ამას წინათ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტდარბაზში ჩატარდა და საქართველოს ჭაბუკ „კლასიკოსთა" პირად-გუნდურ პირველობად იწოდება. მით უმეტეს, რომ ჩვენი ნაამბობი გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის მოჭიდავეთა თავისებური სავიზიტო ბარათი იქნება.

ლაითურში უყვართ სპორტი და მუხლმაგარი ჭაბუკები. იქ მუდამ ხალისით უღებენ კარს ამა თუ იმ სპორტული შეჯიბრების მონაწილეებს. ეს, ჯერ ერთი, შრომით მოღლილ ადამიანთა შესანიშნავი გართობაა და შემდეგ — ჩინებული სკოლა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის.

და აი, სწორედ ლაითურში ამას წინათ გულთბილად უმასპინძლეს ტურნირის მონაწილეებს. 13 ნაკრები კოლექტივი იბრძოდა გუნდური პირველობისთვის და 140 ჭაბუკი „კლასიკოსი" პირად ჩათვლაში. ჯერ თავისთავად ეს ორივე სარეკორდო მაჩვენებელი მეტყველებს, რომ ჭაბუკებს უყვართ კლასიკური ჭიდაობა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ცალკეულმა ბრძოლებმაც. იგრძნობოდა მონდომება, თავგანწირვა, შემტევი ჭიდაობით გატაცება. ყველა თავის გამოჩენას ცდილობდა. და იყო რაღაც ერთიანი სურვილი, რომ საინტერესოდ და ლამაზად ექციათ ჭიდაობის ეს ჭეშმარიტი ზეიმი.

ტურნირში I ადგილი დიდი უპირატესობით მაისურაძის ბიჭებმა მოიპოვეს. ლაითურიდან გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატში გაემგზავრა ხუთი პირველი, სამი მეორე და ერთიც მესამე ხარისხის დიპლომი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია: ინტერნატელებმა უახლოესი მეტოქე — თბილისის კოლექტივი მთელი 21 ქულით ჩამოიტოვეს. III ადგილზე მახარაძელ ჭაბუკთა გუნდი გავიდა.

ერთი დეტალიც გლდანელი ჭაბუკების ცხოვრებიდან: სკოლა-ინტერნატის გუნდმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე, რომ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მათი წვრთნა კვირაში სამჯერ რესპუბლიკის ნაკრების მეცადინეობას დაამთხვიოს. ერთობლივი წვრთნის განახორციელებლად ინტერნატელებს სპეციალურ ავტობუსს გამოუყოფენ, რომელიც მათ სავარჯიშოდ დედაქალაქში ჩამოიყვანს.

ვ. მაისურაძის ჯგუფმა, რომელიც ჩვენს საჭიდაო ცხოვრებაში სავსებით გამოკვეთილ და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა, ასეთი რამ გვაფიქრებინა: რა იქნება, რომ სხვა საზოგადოებებშიც შეიქმნას მსგავსი ავტონომიური ჯგუფები? განა ისინი გაცილებით მეტ სარგებლობას არ მოუტანენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს?

ნ. გუგუშვილი.

• • •

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. თ. წინწალაშვილი (გლდანი), 2. გ. კახელაშვილი (თბილისი), 3. დ. ედიბერიძე (ქუთაისი).

52 კგ. 1. ჟ. ჩუბინიძე (ქუთაისი), 2. ო. ჭუმბურიძე, 3. ი. მამულაშვილი (ორივე — გლდანი).

56 კგ. 1. ვ. ხურიევი (თბილისი), 2. შ. ხუბულაშვილი (გლდანი), 3. ნ. კიკაბიძე (სამტრედია).

60 კგ. 1. ნ. მაჭარაშვილი (ხაშური), 2. ი. ზურაბიანი (მახარაძე), 3. მ. კახელაშვილი (თბილისი).

65 კგ. 1. ტ. ცარციძე (გლდანი), 2. თ. ბაბუხადია (ქუთაისი), 3. ზ. ქაძანია (რუსთავი).

70 კგ. 1. თ. ლეჟავა (გლდანი), 2. კ. გულბიანი (მახარაძე), 3. თ. რუხვიაშვილი (ონი).

75 კგ. 1. ჯ. წიკლაური (გლდანი), 2. ჯ. ზურაბიანი (მახარაძე), 3. დ. ხვედელიძე (ხაშური).

81 კგ. 1. ა. დოლიძე (გლდანი), 2. რ. გარუჩავა, 3. ვ. ტოგონიძე (ორივე — თბილისი).

87 კგ. 1. ნ. ბაბიაშვილი (თბილისი), 2. გ. სალაძე (გლდანი), 3. გ. მეტივიშვილი (ხაშური).

მძიმე. 1. ო. ცუხიშვილი (რუსთავი), 2. მ. მორჩილაძე (ცხაკაია), 3. ა. ლომაშვილი (თბილისი).

რაიონებში, სკოლებში

◆ ზესტაფონი

ადგილობრივი განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტმა (გამგე პ. ჭყოიძე) და სპორტსკოლამ (დირექტორი ა. კვესიტაძე) კარგი საქმე წამოიწყეს: ისინი რეგულარულად ატარებენ სემინარებს ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის. სემინარი ტარდება თვეში ორჯერ.

• • •

აქ დამთავრდა მოსწავლეთა XXIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ზესტაფონის ნაკრები გუნდები. ჭაბუკთა შორის პირველობა არავის დაუთმეს ზესტაფონელებმა, გოგონებში კი ამბროლაურელებმა.

ა. განუგრავა.

საქართველოს რეკორდები

ცურვა

1971 წლის 1 აპრილისთვის

50-მეტრიანი აუზებისთვის

დისტანცია	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
		ქალები, ქალიშვილები, გოგონები	
თავისუფალი სტილი			
50 მ	30,8	ლ. ოსიპოვა (თბილისი, „დინამო")	1967
	30,8	ლ. ოსიპოვა (თბილისი, „დინამო")	1967
	32,1	ვ. პროსკურინა (თბილისი, „განთიადი")	1970
100 მ	1.05,8	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	1.05,8	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	1.10,0	ი. მარგიშვილი (თბილისი, გან. განყ.)	1970
200 მ	2.28,6	თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	2.28,6	თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	2.38,6	ი. მარგიშვილი (თბილისი, გან. განყ.)	1970
400 მ	5.19,0	მ. ყულიჯანოვა (თბილისი, „დინამო")	1968
	5.19,0	მ. ყულიჯანოვა (თბილისი, „დინამო")	1969
	5.29,0	ვ. პროსკურინა (თბილისი, „განთიადი")	1970
800 მ	11.11,3	თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	11.11,3	თ. დოლიძე (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	12.16,0	ი. ბოგდანოვა (თბილისი, „დინამო")	1970
1500 მ	22.54,3	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
	22.54,3	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
	23.00,0	საწყისი ნორმატივი	
ესტაფეტა 4X100 მ			
	4.38,2	საქართველოს ნაკრები	1970
	4.38,2	საქართველოს ნაკრები	1970
	—	—	—
ბრასი			
50 მ	37,7	ლ. მარლანია (სოხუმი, „დინამო")	1968
	37,7	ლ. მარლანია (სოხუმი, „დინამო")	1968
	39,0	ვ. ანიკინა (თბილისი, „დინამო")	1961
100 მ	1.19,3	ლ. მარლანია (თბილისი, „დინამო")	1970
	1.23,0	ლ. ანდრეევა (სოხუმი, გან. განყ.)	1967
	1.24.7	მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო")	1970
200 მ	2.55,0	ლ. მარლანია (თბილისი, „დინამო")	1970
	2.59,2	ლ. კრილოვა (თბილისი, „დინამო")	1958
	3.05,3	მ. კირდიანოვა (თბილისი, „დინამო")	1970
ბატერფლაი			
50 მ	34,4	ნ. ქიბალიოვა (თბილისი, „დინამო")	1967
	34,4	ნ. ქიბალიოვა (თბილისი, „დინამო")	1967
	37,5	ი. მარგიშვილი (თბილისი, გან. განყ.)	1970
100 მ	1.11.1	ი. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	1.11,1	ი. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	1.17,5	ვ. პროსკურინა (თბილისი, „განთიადი")	1970
200 მ	2.44,9	მ. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	2.44,9	მ. გორბუნოვა (ბათუმი, „სპარტაკი")	1970
	2.53,4	ვ. პროსკურინა (თბ., „განთიადი")	1970
გულაღმა			
50 მ	32,2	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
	32,2	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
	32,2	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
100 მ	1.07,8	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1970
	1.07,8	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1970
	1.10,7	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
200 მ	2.27,1	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1970
	2.27,1	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1970
	2.34,3	თ. ლეკვეიშვილი (თბ., „დინამო")	1968
კომპლექსური			
200 მ	2.43,0	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	2.43,0	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	2.56,1	რ. მიქაძე (თბილისი, „დინამო")	1970
400 მ	5.51,6	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	5.51,6	ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი")	1970
	6.19,9	რ. მიქაძე (თბილისი, „დინამო")	1970
კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ			
	5.02,8	განათლების სამინისტროს ნაკრები	1969
	5.02,8	განათლების სამინისტროს ნაკრები	1969
	—		—

„ვოდნიკში" უყვართ ჭიდაობა

აჭარის „კლასიკოსთა" პირად პირველობაში „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", „ვოდნიკისა" და „ბურევესტნიკის" 50-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: ა. ხაჩატურიანმა („განთიადი"), ნ. ლომთათიძემ („დინამო"), ნ. თურმანიძემ („ბურევესტნიკი"), რ. დოლიძემ, ი. ოვსიანიკოვმა, თ. კიზირიძემ, გ. გასპარიანმა, რ. აგარიანმა, რ. იმედაძემ, ვ. ჰურლაიამ (ყველა — „ვოდნიკი").

ქებას იმსახურებს „ვოდნიკის" მწვრთნელი ი. ტულუში, რომლის აღსაზრდელებმა კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინეს. ეს, ჩვენი აზრით, იმას მოწმობს, რომ „ვოდნიკში" ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

„ჩვენ ვეძებთ ტალანტებს"

ამას წინათ რუსთავში ჩატარდა კალათბურთელ ჭაბუკთა საინტერესო ტურნირი დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს". შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმისა და ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელები ვ. ჯანელიძე და ქ. ნაჭყებია.

შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა. I ადგილი და თასი დამსახურებულად მოიპოვეს სკოლა-ინტერნატის კალათბურთელებმა. II ადგილზე გავიდნენ სპორტსკოლის აღსაზრდელები, III — მე-17 საშუალო სკოლის სპორტსმენები.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ნიჭიერმა ჭაბუკებმა თ. ბერაძემ, დ. მურუსიძემ, ა. ლომაძემ, ე. ჩიქვილაძემ, ა. ხოშტარიამ...

ეს ასპარეზობა ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება.

ჯ. ფილიევი.

რუსთავი.

ცხინვალის სპორტულ სკოლაში 105 ბავშვი ეუფლება ტანვარჯიშს. ნორჩ სპორტსმენთა განკარგულებაშია სათანადოდ აღჭურვილი დახურული დარბაზი, საკლასო ოთახები. მომავალი ტანმოვარჯიშეების აღზრდას ოლქში ცნობილი სპორტსმენი-პედაგოგები და მწვრთნელები უძღვებიან.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჯ. გოგნიაშვილი სექციის ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობს. საქდესის ფოტოკორესპონდენტების რ. კაჭარავას და ლ. გუსოვის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია მეცადინეობის მომენტი VI კლასში. ჯ. გოგნიაშვილი მითითებას აძლევს სპორტის ოსტატობის კანდიდატს ნ. უვაროვას.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

მოწაფეები და მწვრთნელები

ფარიკაობის „პიგმალიონები“

ეგოიზმი და კეთილშობილება

ძალთა თანაფარდობა შეიცვლება

მწვრთნელებზე ორი აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ მწვრთნელისთვის აუცილებელია სპორტული ბიოგრაფია ჰქონდეს, მეორენი კი თვლიან, რომ მისთვის სრულიადაც არ არის სავალდებულო პრაქტიკოსი სპორტსმენი იყოს. სამაგალითოდ მოჰყავთ ფეხბურთის ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეოლა.

რომელ აზრს მივემხროთ? ვთქვათ, ორივე სამართლიანია, მაგრამ ეს გაუთავებელი დავა ფარიკაობას არ ეხება და აი, რატომ: ფარიკაობის მწვრთნელი უშუალოდ მონაწილეობს წვრთნის პროცესში და არ იფარგლება მხოლოდ მითითებებით. მას ვარჯიშის დროს აცვია საფარიკაო ტანსაცმელი, ნიღაბი უკეთია და აღსაზრდელებზე ნაკლებად როდი ფლობს ურთულეს საფარიკაო ხერხებს. ერთი სიტყვით, მწვრთნელი თავისი მოღვაწეობის დასასრულამდე, ასე ვთქვათ, პრაქტიკულ სპორტსმენად რჩება. როცა იგი ვეღარ შეძლებს ამას, კარიერაც დამთავრებულია. **ამიტომ ფარიკაობაში მწვრთნელობა მხოლოდ ყოფილ მოფარიკავეს შეუძლია.**

ეს განსაკუთრებით საგრძნობია ბოლო ხანებში. ერთი წუთით გადავხედოთ საბჭოთა ფარიკაობაში მოსულ „ახალბედა“ მწვრთნელთა სიას. ვინ არიან ისინი? დ. ტიშლერი, ლ. კუზნეცოვი, მ. მიდლერი, გ. სვეშნიკოვი... საინტერესოა, რომ მწვრთნელებს თითქოს არ დაუტოვებიათ ასპარეზი: მათ მოწაფეებს ერთბაშად გამოარჩევთ სხვა სპორტსმენთა შორის. საფარიკაო ბილიკზე კვლავ ვხედავთ ტიშლერებს, სვეშნიკოვებს, კუზნეცოვებს, მიდლერებს... ეს შეცდომა არ გეგონოთ: წარსულში სახელოვანი სპორტსმენები თავიანთ „ორეულებს“ ქმნიან. მათ მოწაფეებს შეთვისებული აქვთ მასწავლებელთა ბრძოლის მანერა, ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხები, დაუღალავი ძიების წყურვილი. ამ ილუზიას კიდევ უფრო აძლიერებს საფარიკაო ნიღაბი, რომელიც სპორტსმენს სახეს უფარავს. ღმერთმანი, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს კვლავ ტკბებით, ვთქვათ, ახალგაზრდა მიდლერის, ანდა კუზნეცოვის ოსტატობით. ეს ამბავი არ ჩამოჰგავს პიგმალიონის ისტორიას? მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ილუზია გახლავთ.

ასე რომ იყოს, ფარიკაობაში შეიქმნებოდა ერთი რომელიმე გამოჩენილი სპორტსმენის „დინასტია“, რაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გააღარიბებდა ამ სახეობის მდიდარ სამყაროს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ დღევანდელი მოწაფეები პრინციპულად... განსხვავდებიან თავიანთი აღმზრდელებისგან. ვიმეორებ, ბრძოლის მანერაში და ფარიკაობასთან დამოკიდებულებაში მსგავსება უდავოდ თვალსაჩინოა. მაგრამ ფარიკაობაში ერთი თაობის ცხოვრება მთელს ეპოქას წარმოადგენს, წინა ეპოქიდან კი ყველაფერი როდი გადმოაქვთ მექანიკურად. ამ შემთხვევაში პროგრესზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. თუმცა, უმჯობესია მივმართოთ მაგალითს.

მარკ მიდლერი... ეს ადამიანი ისევე ლეგენდარული ფიგურაა ფარიკაობაში, როგორც, ვთქვათ, ლ. იაშინი ფეხბურთში, ვ. ჩუკარინი ტანვარჯიშში, ი. ნოვიკოვი ხუთჭიდში, გ. პოპენჩენკო კრივში. 1951 წლიდან 1968 წლამდე იგი საერთაშორისო ფარიკაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი იყო. 17 წლიწადი მსოფლიოს საუკეთესო მუშკეტერთა შორის! ეს განსაცვიფრებელი მიღწევაა თვით ფარიკაობისთვისაც კი. მიდლერი მაყურებელთა ჭეშმარიტი კერპი იყო და მუშკეტერთა საუცხოო მასწავლებელი. როცა მას საასპარეზოდ იძახებდნენ, შეჯიბრებისგან თავისუფალი მოფარიკავეები უმალ ალყას არტყამდნენ საფარიკაო ბილიკს და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მის ყოველ მოძრაობას. და მაინც, მიდლერის ბრძოლის ნახაზი იმდენად მდიდარი იყო ნაირნაირი ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხებით, რომ მათი დამახსოვრება პრაქტიკულად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. თავისი უმდიდრესი სპორტული არსენალის დემონსტრაცია სრულყოფილად მიდლერს მხოლოდ „ლაბორატორიის“ პირობებში შეეძლო. ამიტომაც, როგორც კი ბოლო ბრძოლა ჩაატარა, მარკს მაშინვე უხმეს სამწვრთნელო ასპარეზზე.

ახლა ვხედავთ, რარიგ დასანანი იქნებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო. სულ რაღაც სამი წლის მანძილზე მიდლერმა ახლებურად წარმართა ზოგიერთი უკვე ცნობილი მოფარიკავის სპორტული გზა, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ „იზრდებოდნენ“ და ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. მიდლერის სახით მათ მხარში ამოუდგა უდიდესი ძალა, ვისთვისაც ფარიკაობაში არავითარი საიდუმლო არ არსებობს. მიდლერი მათთვის მარტო მასწავლებელი არ არის, იგი მათი პარტნიორიცაა. და რა მოხდა? უკვე სავსებით ჩამოყალიბებულმა მუშკეტერებმა თავიანთი უნარი გაამრავლეს მიდლერის ღირსებებზე, რამაც ერთბაშად თვალსაჩინო თვისობრივი ცვლილებები გამოიწვია. ეს მომენტი საუკეთესოდ გამოჩნდა თუნდაც გ. ლუკიანჩენკოს მაგალითზე. ლუკიანჩენკო არც უწინ ითვლებოდა ურიგო მოფარიკავედ. მას იცნობდნენ ნიჭიერ სპორტსმენად, რომელმაც, როგორც იტყვიან, ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ამ ტრაფარეტულ ფრაზას ხშირად იმეორებს ზოგიერთი მწვრთნელიც. ისინი ანგარიშს არ უწევენ, რომ ხშირად ამ წარუმატებლობაში თავადაც არიან დამნაშავენი.

მაინც, რა „დანაშაულს“ ვგულისხმობთ? ლაპარაკია ერთგვარ სპორტულ ეგოიზმზე. დიახ, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, სწორედ სპორტულ ეგოიზმზე. ავიღოთ ტიპიური სურათი: ფარიკაობაში ჯერ კიდევ სრულიად გაუთვითცნობიერებელი ყმაწვილი მიდის მწვრთნელთან. აქედან იწყება მისი სპორტული გზა, რომელიც ხშირად ათეულ წელსაც მოიცავს. მასწავლებელმა აუხსნა აღსაზრდელს ფარიკაობის ანბანი, გამოიყვანა პირველ ოფიციალურ შეჯიბრებებში. ვთქვათ, ამ სპორტსმენს საუცხოო პერსპექტივა აღმოაჩნდა. მწვრთნელი ასეთ შემთხვევაში ყურადღებას აორკეცებს, დღესა და ღამეს ასწორებს, შვილივით უყვარს მოწაფე, რომელმაც მას სახელი უნდა გაუთქვას. რა არის ამაში საძრახისი? პირიქით, სახელი და დიდება ასეთ კეთილშობილ მწვრთნელს! მაგრამ ფარიკაობაში ერთ ადგილზე შეჩერება არ შეიძლება. ის ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობდით, საცაა დიდი მნიშვნელობის ტურნირებში უნდა გამოვიდეს. ახლა მას სჭირდება განუზომლად მეტი ოსტატობა, უნარი. მწვრთნელმა კი მას უკვე ყველაფერი გადასცა, რაც იცოდა და შეეძლო. მან გამოძერწა საინტერესო მოფარიკავე, მაგრამ მეტის გაკეთება აღარ ძალუძს.

რა უნდა მოიმოქმედოს მწვრთნელმა ამ კრიტიკულ მომენტში? მას უნდა აღმოაჩნდეს პედაგოგიური ალღო და მოქალაქეობრივი კეთილშობილება, რათა თავისი საყვარელი მოწაფე შემდგომი დაოსტატებისთვის უფრო კვალიფიციურ კოლეგას გადასცეს, თორემ სხვანაირად რა გამოვა? უკეთეს შემთხვევაში, „ეგოისტი“ მწვრთნელის მოწაფე საშუალო მოფარიკავე თუ იქნება. სამწუხაროდ, ასეთი რამ იშვიათად როდი შეიმჩნევა ქართულ ფარიკაობაშიც.

დავუბრუნდეთ ისევ ლუკიანჩენკოს. მიდლერამდე ამ ნიჭიერი მოფარიკავის მწვრთნელი გახლდათ ვ. განსონი. გარკვეულ დრომდე განსონისა და ლუკიანჩენკოს თანამეგობრობა კარგ შედეგს იძლეოდა. მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დრომდე. ლუკიანჩენკოს დაუდგა ის ასაკი, როცა საკავშირო შეჯიბრებებიდან სპორტსმენი მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობისკენ ილტვის. მაგრამ მოსკოველ სპორტსმენს საბჭოთა კავშირის ნაკრებისკენ დახშული ჰქონდა გზა: იგი ჯამუდმებით ტრიალებდა ნაკრების „კარიბჭესთან“, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა ეს უკანასკნელი ზღუდე. როგორც კი ფარიკაობის მწვრთნელთა შორის მიდლერმაც დაიკავა ადგილი, განსონმა თავისი მოწაფე უმალ მას გადაულოცა. უნდა ვიფიქროთ, რომ მწვრთნელს ამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდებოდა, მაგრამ გაიმარჯვა საღმა აზრმა. და აი, სოხუმში, უძლიერესთა ტურნირში ჩვენ ვნახეთ ახალი ლუკიანჩენკო. იგი წინანდელ მოფარიკავეს ჰგავდა და აღარც ჰგავდა. ძველ ლუკიანჩენკოს შეემატა მიდლერის უნარი, მისი ოსტატობა კიდევ უფრო დაიხვეწა, ხოლო ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით თითქმის უნაკლო გახდა. მან მეორედ დაამტკიცა (ჯერ კიდევ შარშან მიდლერის მოწაფე სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს), რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო რაპირისტია. სოხუმის ორწრიან ტურნირში მან III ადგილი დაისაკუთრა. ამ შეჯიბრებაში ვალერომ უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ზ. პუტიატინი (კიევი), მარშანდელი მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ლ. რომანოვი (მოსკოვი), სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ვ. სტანკოვიჩი...

საინტერესოა, რომ ამავე სპორტსმენებთან ლუკიანჩენკო სისტემატურად მარცხდებოდა მანამდე, სანამ მიდლერთან არ დაიწყო ვარჯიში. რაკი სიტყვა სოხუმის ტურნირზე ჩამოვარდა, გაგაცნობთ პირველ ორ პრიზიორს ლუკიანჩენკოს სახეობაში — რაპირით ფარიკაობაში. დაძაბული ბრძოლების შემდეგ I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა რაპირისტმა ი. შაროვმა. მეორე იყო კიეველი ბ. ლეიბოვიჩი. ორივე მუშკეტერი სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის ხანაშია. სხვათა შორის, ამ ორ ნიჭიერ სპორტსმენს მიდლერი და სვეშნიკოვი წვრთნიან.

სავარაუდოა, რომ უახლოეს დროში მკვეთრად შეიცვლება ძალთა თანაფარდობა დაშნით მოფარიკავეთა შორის. უძლიერესები ამ იარაღში ადრეც ხშირად თმობდნენ პოზიციებს, ახლა კიდევ უფრო გამძაფრდა კონკურენცია. მოფარიკავეთა ახალი თაობა გაბედულად იბრძვის „უკვდავთა“ შორის ადგილის მოპოვებისთვის. ახალი თაობის ამ მძაფრ შეტევას ბოლომდე ვერ გაუძლო თვით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა და სოხუმის ტურნირის პირველ წრეში გამარჯვებულმა, მინსკელმა ბ. ნიკანჩიკოვმა. ხშირად როდი ხდება, რომ ტიტულოვანი სპორტსმენი პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ მეორე წრის წინასწარ შეხვედრებშივე ეთიშება ასპარეზობას. ახალგაზრდა დაშნით მოფარიკავეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. ხაზანი, გ. რასოლკო, ი. ვიანესი, გ. ზაჟიცკი... სწორედ მათგან უნდა ველოდოთ უახლოეს ხანში სიურპრიზებს.

ამ სახეობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გ. კრისი (კიევი), გ. რასოლკო (მინსკი), ს. პარამონოვი (კიევი).

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

სოხუმი.

ბრძოლის ბედი ფინიშზე გადაწყდა

ამას წინათ ბათუმში სტარტი მიეცა ველოსიპედისტთა ტრადიციულ ტურნირს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს „დინამოს“, ბავშვთა სპორტსკოლის, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და სხვა სპორტსმენებმა. სტარტი დანიშნული იყო ლენინის სახელობის მოედანზე. შემდეგ ველოსიპედისტებს უნდა გაევლოთ ქალაქის ქუჩები და დაბრუნებულიყვნენ ისევ სტარტის ადგილზე.

11-კილომეტრიანი დისტანცია სპორტსმენთა დიდმა ჯგუფმა თითქმის ერთდროულად დაამთავრა. ფინიშთან პირველი იყო ქობულეთის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელი გ. ბადალიანი—15.25,0. მან ზედ ფინიშის ხაზზე გაუსწრო სპორტის ოსტატ ო. ნიშნიანიძეს.

მ. კირაკოსიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ბათუმი.

წინ ფინიშია

XXXII
ახალქალაქი
71

ახალქალაქი, 3 აპრილი. საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXII ჩემპიონატში 10 ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება.

თამაშის განუახლებლად ნ. ჩახოიანი (თბილისი) და ა. რაზოვსკი (ქუთაისი) ყაიმზე შეთანხმდნენ. ორ გადადებულ პარტიაში დ. გედევანიშვილმა (თბილისი) ქულანახევარი მოაგროვა: მოუგო ნ. შოგირაძეს (ზუგდიდი) და ყაიმზე შეუთანხმდა თბილისის ჩემპიონს მ. ლევინს. ორი პარტია ითამაშა გ. ბიბილაშვილმაც (გარდაბანი): მოუგო ლ. ნეურონოვს (ბათუმი) და წააგო ო. მანაშეროვთან (ხაშური).

კვლავ, უკვე 91-ე სვლაზე, გადაიდო მ. არჩვაძე (სამტრედია) — ზ. მიქაძის (თბილისი) პარტია. მიქაძეს ეტლი და კუ აქვს ეტლის წინააღმდეგ.

10 ტურის შემდეგ მეტოქენი სატურნირო ცხრილში ასე არიან განლაგებული: ჩახოიანი — 7,5 ქულა, ა. ბოკუჩავა (თბილისი), რაზოვსკი — 6,5-6,5, მიქაძე — 5,5 (1), ბიბილაშვილი — 5,5, ლევინი, ე. მიქაელიანი (თბილისი) — 5-5, მანაშეროვი, გ. მუკნიაშვილი (გორი), გედევანიშვილი, ვ. ვეფხვიშვილი (თბილისი) — 4,5-4,5, არჩვაძე — 3,5 (1), შოგირაძე — 2,5, ნეურონოვი — 2, ესოიანი (ახალქალაქი) — 1,5.

დღეს ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებენ. წინაა ფინიშის 5 ტური.

ე. მელიქსეთ-ბეგი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

პეტროსიანის შთამბეჭდავი გამარჯვება

მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ამ დღეებში მოეწყო ელვისებური საჭადრაკო ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას მიეძღვნა. ტურნირში 16 სახელგანთქმული საბჭოთა დიდოსტატი და ოსტატი ჩაება. თამაშს დაესწრო ჭადრაკის დიდი მოყვარული, ყრილობაზე ჩამოსული ამხანაგი იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ბრწყინვალე თამაშით I ადგილი დაიკავა ტ. პეტროსიანმა — 14,5 ქულა 15-დან! მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა 14 პარტია მოიგო და მხოლოდ ბოლო ტურში (ა. ზაიცევთან) დასჯერდა ყაიმს.

II ადგილი ხვდა ვ. კორჩნოის — 11,5, III — ი. ბალაშოვს — 10,5. შემდეგ მოდიან: ა. კარპოვი, მ. ტალი, რ. ხოლმოვი — 9,5-9,5, მ. ტაიმანოვი, ე. ვასიუკოვი — 8,5-8,5, ა. ლეინი — 8, ა. ზაიცევი — 7, ა. კოტოვი — 5,5, ა. სუეტინი — 4,5, ი. ავერბახი, ი. ზაიცევი, ლ. შამკოვიჩი — 3,5-3,5, გ. ანტოშინი — 2,5.

ყოველკვირეულ „64“-ის საგანგებო პრიზი ხვდა მის რედაქტორს პეტროსიანს, ხოლო ახალგაზრდებს შორის საუკეთესო შედეგისთვის — კარპოვს.

ამიერკავკასიელთა წარმატება

თბილისის ოფიცერთა სახლში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური პირველობა ჭადრაკში (სამხრეთის ზონა).

I ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა (ვაჟები: დიდოსტატი ე. გუფელდი, ოსტატები რ. ვაგანიანი, ა. იზვოზჩიკოვი, ოსტატობის კანდიდატები ლ. კერნოჟიცკი, მ. ფრიდინსკი; ქალები: საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, პირველთანრიგოსანი ნ. ფურმანი) — 32,5 ქულა.

II ადგილი ხვდა ოდესის სამხედრო ოლქს — 29,5, III — ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს — 23, IV — ბაქოს საჰაერო თავდაცვას — 21,5, V — ამიერკარპატეთის სამხედრო ოლქს — 20, VI — საბჭოთა ჯარების ცენტრალურ ჯგუფს — 12, VII — საბჭოთა ჯარების სამხრეთის ჯგუფს — 8,5.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინიშზე ამიერკავკასიისა და ოდესის სამხედრო ოლქების გუნდების შეხვედრამ. გაიმარჯვეს ამიერკავკასიელებმა — 4,5:2,5. გუფელდმა მოუგო დიდოსტატ ვ. ტუკმაკოვს. აღსანიშნავია ბათუმელი გოგონას ნ. ფურმანის წარმატება — 5,5 ქულა 6-დან.

ამრიგად, შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ ამიერკავკასიისა და ოდესის სამხედრო ოლქების გუნდები.

გ. ჟანტურია,
შეჯიბრების მსაჯი, ოსტატობის კანდიდატი.

მიზანი:
ფინალის საგზური

გუშინ თბილისის ოფიცერთა სახლში სამხედრო მოჭადრაკეებმა დაიწყეს ახალი შეჯიბრება: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი ჩემპიონატის ნახევარფინალი.

ტურნირში 12 მოჭადრაკე მონაწილეობს, რომელთა შორის არიან ოსტატები გ. კუზმინი, ო. პავლენკო (ორივე — ბაქოს საჰაერო თავდაცვა), ი. იუხტმანი (ოდესის სამხედრო ოლქი), ა. ზახაროვი (ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი) და ა. იზვოზჩიკოვი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი). ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახელით თამაშობს, აგრეთვე, ოსტატობის კანდიდატი ლ. კერნოჟიცკი.

ფინალში დაიშვებიან I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები.

ფეხბურთი

მოზარდთა რესპუბლიკური ტურნირი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა)	6	5	1	0	8—2	11
ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი)	5	5	0	0	14—2	10
„ტორპედო“ (ქუთაისი)	5	2	3	0	7—2	7
„დინამო“ (თბილისი)	5	2	3	0	6—2	7
განათ. განყ. (თბილისი)	5	2	2	1	9—1	6
„მეტალურგი“ (რუსთავი)	5	3	0	2	9—3	6
„ინტერნატი“ (თბილისი)	5	2	1	2	8—9	5
„განთიადი“ (თბილისი)	5	2	1	2	3—6	5
„დინამო“ (სოხუმი)	5	1	2	2	4—3	4
„კოლხეთი“ (ფოთი)	6	1	2	3	7—8	4
„მეშახტე“ (ტყიბული)	4	1	2	1	4—6	4
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	5	1	1	3	2—6	3
„დინამო“ (ბათუმი)	5	1	1	3	1—6	3
„მერცხალი“ (მახარაძე)	5	1	1	3	3—10	3
ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი)	4	0	2	2	2—4	2
„დილა“ (გორი)	5	0	0	5	2—19	0

ფავორიტებმა უკან დაიხიეს

გაზეთ „პრავდას" პრიზის გათამაშებაში, რომელიც დელისის იპოდრომზე გაიმართა, თბილისის რაიონების ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ. მძლეოსნური კროსის პროგრამაში შედიოდა სხვადასხვა მანძილზე რბენა. გუნდებს ყველა დისტანციაზე 7-7 სპორტსმენი უნდა გამოეყვანათ, ჩათვლას კი 5-5 საუკეთესოს შედეგების მიხედვით მიიღებდნენ.

ტურნირი მასობრივი იყო და ბრძოლაც საინტერესო გამოდგა. მაგრამ შეჯიბრება უფრო დაძაბული იქნებოდა, 26 კომისრის, ოქტომბრის, კიროვისა და ლენინის სახელობის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს გუნდები ყველა დისტანციაზე რომ გამოეყვანათ.

„პრავდის" პრიზის წინა გათამაშებაში ფავორიტები უმეტესად ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების ნაკრები კოლექტივები იყვნენ. ორჯონიკიძის რაიონი პოზიციების დათმობას არც ახლა აპირებდა. ამ რაიონის წარმომადგენლები ყველა დისტანციაზე გამოვიდნენ, ზოგი მოიგეს კიდეც, მაგრამ 1-ლი მაისის რაიონის ფიზკულტურელებს, რომელთაც საერთო გუნდურ ჩათვლაში 9 საჯარიმო ქულით გაიმარჯვეს, ვერ აჯობეს. ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენებმა 4 ქულით მეტი ჯარიმა მიიღეს და II ადგილს დასჯერდნენ. III ადგილი მოიპოვეს კალინინის რაიონის კროსმენებმა — 17 ქულა.

გამარჯვებული გუნდის წევრებმა პირად ჩათვლაში 6 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს, ორჯონიკიძის რაიონის კროსმენებს კი 9 საპრიზო ადგილი ხვდათ წილად. ამ კოლექტივის სამი მძლეოსანი ჩემპიონიც გახდა. მაგრამ, ვინაიდან დანარჩენები შედარებით უთანაბროდ გამოვიდნენ, გამარჯვება 1-ლი მაისის რაიონის წარმომადგენლებს დარჩათ.

რატომ უნდა წაეგო ორჯონიკიძელთა ნაკრებს? სწორედ ამ რაიონშია თავმოყრილი დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა, რომელთაც საუკეთესო მძლეოსნები ჰყავთ.

უკვე კარგა ხანია კროსებში, რა მასშტაბისაც უნდა იყოს ეს შეჯიბრებები, ორჯონიკიძის რაიონი, ასე ვთქვათ, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა ხარჯზე გამოდის. წლეულს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ათლეტებიც რომ გარჯილიყვნენ, გამარჯვება ამ რაიონს დარჩებოდა.

გოგონები 1000 მეტრზე რბენაში ასპარეზობდნენ. რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლე ტ. ოსიპოვა (1-ლი მაისის რაიონი) თავიდანვე დაწინაურდა და მეტოქეებს საგრძნობი უპირატესობითაც აჯობა — 3.15,0. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნ. მოგილიოვა გამარჯვებულს 20 წამით ჩამორჩა. მოგილიოვამ კინაღამ II ადგილიც დაკარგა პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე ლ. სემირენკინასთან (1-ლი მაისის რაიონი) ბრძოლაში.

1500 მეტრზე მოასპარეზე ქალიშვილთა შორის მაღალი შედეგით ვერავინ დაიქადნის. გაიმარჯვა ნ. მაიოროვამ (ორჯონიკიძის რაიონი) — 6.17,0. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. პაპიაშვილი (კალინინის რაიონი) — 6.21,0 და ტ. ფუტკარაძე (1-ლი მაისის რაიონი) — 6.36,0.

ქალთა შორის (შეჯიბრება 2000 მეტრზე გაიმართა) ქების ღირსია მხოლოდ რ. შამოევა (ლენინის რაიონი), რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგი (7.51,0) მოიპოვა. მან II ადგილზე გასულ ს. კოჩეტოვას (ორჯონიკიძის რაიონი) წუთნახევარი მოუგო, მესამე პრიზიორს ს. კესოვას (1-ლი მაისის რაიონი) კი 2 წუთზე მეტი.

ვაჟთა ტურნირში განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა 5000 მეტრზე რბენა. სპორტულმა მოსიარულემ ჯ. ბერიძემ (ორჯონიკიძის რაიონი) ბევრ მორბენალს აჯობა (16.03,0), კროსში უმაღლესი — II თანრიგის ნორმატივი შეასრულა და მხოლოდ უკონკურსოდ მოასპარეზე გ. გატიკოევს (სამხრეთ ოსეთი) ჩამორჩა. ეს ის გატიკოევია, რომელსაც სტაიერის შესანიშნავი მონაცემები აქვს და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. ბერიძემ მორბენალ გ. შოშიაშვილს, რომელიც III ადგილზე გავიდა, 46 წამი მოუგო.

8000 მეტრზე მორბენალთა შორის თავიდანვე ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენები ნ. დავიდენკო, ა. მიქოიანი და გ. სტარიჩკოვი დაწინაურდნენ და მალე ცხადი გახდა, რომ საპრიზო ადგილებიც მათს დავაში უნდა გარკვეულიყო. ლიდერებმა ბოლო წრეზე ტემპს უმატეს. ყველაზე მეტი ენერგია სტარიჩკოვს აღმოაჩნდა და პირველობაც მან დაისაკუთრა — 26.04,0. II ადგილზე გავიდა მიქოიანი — 26.19,0. III — დავიდენკო — 26.21,0.

3000 მეტრზე მორბენალ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა: ზ. მეშჩანინოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 9.27,0, ი. პაპიაშვილი — 9.33,3, გ. დმიტრიევი (ორივე — 1-ლი მაისის რაიონი) — 9.39,0.

რ. მაღრაძე.

* * *

38
29
65
66
69

სურათზე: 1000 მეტრზე მორბენალ გოგონათა შეჯიბრების მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

პატარა მოგონება გოლიათზე

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, 1934 წლის აგვისტოს. სოხუმიდან თბილისში მოვემგზავრებოდი მატარებლით. ვაგონში ჩემს გვერდით ადგილები დაიკავეს ერთმა ახოვანმა, თმაშევერცხლილმა ვაჟკაცმა, რომელსაც ხელში ყვავილებიანი ქოთანი ეკავა, და ტანმორჩილმა ხანდაზმულმა მანდილოსანმა, როგორც შემდეგში გავიგე, მისმა მეუღლემ. სულ მალე, იქვე მჯდომმა მგზავრმა მოურიდებელი სჯა-ბაასი გააჩაღა ამ სიმპათიურ წყვილთან. საუბრის დროს ახოვანმა ვაჟკაცმა მცენარეთა სამყაროს ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა. მერე ერთბაშად შეწყვიტა საუბარი და შემეკითხა:

— თქვენის აზრით, რა სპეციალობისა უნდა ვიყო?

— ბოტანიკოსი, — დაუფიქრებლად მივუგე მე.

ახოვანმა ხმამაღლა გადაიხარხარა. როცა სიცილისგან თვალებში ცრემლი ჩაუდგა, დინჯად გადაისვა ხელი ულვაშებზე და ეშმაკური ღიმილით მიპასუხა:

— მე პოდდუბნი ვარ, ივან მაქსიმეს ძე პოდდუბნი. ალბათ გაგიგონიათ, არა?

— პოდდუბნი! — ხმამაღლა წამოვიძახე და ფეხზე წამოვვარდი. გამახსენდა ჩემპიონთა ჩემპიონის გამოჩენა თბილისის ცირკის სარბიელზე, საზოგადოების დაუფარავი აღფრთოვანება, პოდდუბნის ცეცხლოვანი ჭიდაობა, უზადო ოსტატობა.

— ბატონო ივანე, — მოკრძალებით მივმართე მას, — გთხოვთ დამდოთ პატივი და ვაგონ-რესტორანში წამომყვეთ.

პოდდუბნიმ თავის მეუღლეს გადახედა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ყმაწვილს სურვილი უნდა შევუსრულოთ.

რესტორანში ოფიციანტს უამრავი სხვადასხვა კერძი და სასმელი მოვატანინე. პოდდუბნი ერთხანს გაოცებული დასცქეროდა სუფრას, შემდეგ მომიბრუნდა და ღიმილით მკითხა:

— მეგობარო, ამდენი სასმელი ვისთვის მოიტანეთ?

სტუმარს ვაგრძნობინე, რომ ყველაფერი მის პატივსაცემად იყო მორთმეული.

— მადლობას გწირავთ ყურადღებისთვის, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში არ გავკარებივარ ალკოჰოლს, არც თამბაქო მომიწევია და, რომ იცოდეთ, ცხარე საჭმელსაც ვერიდები.

შემდეგ მან მოკლე, მაგრამ ერთობ საინტერესო ლექცია წამიკითხა:

— სპორტსმენის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იცავს იგი რეჟიმს, როგორ უფრთხილდება თავის ჯანმრთელობას და ორგანიზმს როგორ გგონიათ განა ცოტანი იყვნენ ჩემზე ძლიერი მოჭიდავეები? მათ არ ჰქონდათ თავშეკავების უნარი და ხშირად სპორტსმენისთვის ოდითგან დადგენილ რეჟიმს არღვევდნენ. მე კი მათ ვჯობდი ნებისყოფით, ხასიათით. ეს იყო ჩემი პირველი და მთავარი უპირატესობა.

შემდეგ პოდდუბნიმ რევოლუციამდელ რუსეთში სპორტსმენთა ცხოვრებაზე ილაპარაკა. უმოწყალოდ გაათახსირა ცირკის მეპატრონეები, რომლებიც ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა მაყურებელი შეცდომაში შეეყვანათ და თვითონ კი ჯიბე გაესქელებინათ. პოდდუბნის გამუდმებული უსიამოვნო ბრძოლა ჰქონდა ამ თავნება ხალხთან, მაგრამ ცირკი უმისოდ ვერ სძლებდა და ხშირად მეპატრონეებიც დათმობაზე მიდიოდნენ.

— თქვენ არასდროს წაგიგიათ განგებ? — ვკითხე მოულოდნელად. მან ღიმილით შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა და მომიგო:

— ერთხელ მეც მქონდა ასეთი შემთხვევა. მაშინ ნოვოროსიისკის ცირკში გამოვდიოდი. ყველა მეტოქე იოლად დავამარცხე. ბოლო შეხვედრა, თუ არ ვცდები, ანდერკონთან მქონდა. წინადღით სასტუმროში, სრულიად მოულოდნელად, მისი მეუღლე გამომეცხადა და მთხოვა წამეგო გადამწყვეტი ბრძოლა. თუ თქვენ ამ თხოვნას არ შემისრულებთ, იცოდეთ შიმშილით დავიხოცებითო. მართალი გითხრათ, ასეთი ულტიმატუმით არავის მოუმართავს ჩემთვის. არ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი.

მეორე დღეს ცირკში ტევა არ იყო. მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას. მთელი ღამე თეთრად გავათენე იმის ფიქრში, როგორ „გამეფორმებინა" ჩემი მოულოდნელი დამარცხება. ბოლოს ერთი ეშმაკური გადაწყვეტილება მივიღე, რაც მეორე დღეს ჩინებულად განვახორციელე: ბრძოლის დაწყებისთანავე მოწინააღმდეგე ხელში ავიტაცე, ჯერ დავჯექი, მერე წამოვწექი და მეტოქე ზევიდან დავიწვინე. ისეთმა ტაშმა იქუხა, გეგონებოდათ ჭერი ჩამოიქცაო, საწყალმა ჩემმა მეტოქემ კი კულისებისკენ მოკურცხლა.

პოდდუბნი დინჯად მიამბობდა თავის გამარჯვებებზე რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში, აფრიკასა და შეერთებულ შტატებში. იგი იუმორით აღწერდა ამა თუ იმ ხასიათო ეპიზოდს დიდამიწის უძლიერეს მოჭიდავეთა ცხოვრებიდან. ტონი ხშირად იცვლებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე მეტოქის ვერაგობაზე იწყებდა ლაპარაკს.

თურმე ერთხელ მარცხით განაწყენებულ ფრანგ მოჭიდავეს ბუშს პოდდუბნის მოსაკლავად თავზეხელაღებული ავაზაკები დაუქირავებია, მაგრამ განზრახვა ვერ შეუსრულებია. ჩემპიონს უშველა მეორე ფრანგმა მოჭიდავემ, რომელმაც მას შეთქმულების ამბავი გაანდო.

შეერთებულ შტატებში პოდდუბნი 55 წლის ასაკში იწვია, მაგრამ ამერიკის ჩემპიონის ტიტული იოლად მოიპოვა.

პოდდუბნიმ კარგად დაახასიათა ქართველი მოჭიდავეები, განსაკუთრებული ქებით მოიხსენია კოტე მაისურაძე, შაქრო სანდრო კანდელაკიც. კანდელაკს, პოდდუბნის აზრით, პირველ ხანებში გამოცდილება არ ჰქონდა, მერე კი ეს დანაკლისი შეავსო. სახელოვანი ფალავანი თურმე კარგად იცნობდა კოლია ქვარიანსაც. ხალისით მოიგონა მოჭიდავეთა ახალგაზრდა თაობა.

— ახალგაზრდებს ჩვენში ყველა პირობა აქვთ შექმნილი. სრულიადაც არ მიკვირს, რომ ისინი მსოფლიო ჭიდაობის ავანგარდში იმყოფებიან და ღრმადაც ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიო ჩემპიონთა სიას არა ერთი და ორი საბჭოთა ფალავნის გვარი დაამშვენებს, — თქვა პოდდუბნიმ.

დ. ბაქრაძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დიდი დავალიანება

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ამ ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებულ 6.000 საფეხბურთო კლუბიდან მხოლოდ 50-ს აქვს დადებითი ფინანსური ბალანსი. დანარჩენები ფაქტიურად სულს ღაფავენ და ვერ აუდიან ვალებს, რომელთა დიდი ნაწილის გასტუმრება ქალაქების მუნიციპალიტეტებს უხდებათ.

ბრძოლა „ოქროს ბუცისთვის"

პარიზის ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა ჯილდო „ოქროს ბუცის" პრეტენდენტ სნაიპერთა კლასიფიკაცია.

დაწინაურდა იუგოსლაველი ფეხბურთელი სკობლარი, რომელიც საფრანგეთის კლუბ „მარსელში" თამაშობს. 22 მატჩში მან 25 გოლი გაიტანა. II ადგილზეა ბრაუნი (ლუქსემბურგის „უნიონი") — 22 ბურთი 19 მატჩში. III ადგილზე ისევ ბრაუნია, ოღონდ ინგლისის კლუბ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონიდან". მან 21 ბურთი გაიტანა 30 მატჩში. ბატისტას (პორტუგალიის „სეტუბალი") 21 თამაშში 20 გოლი აქვს გატანილი.

საინტერესოა, რომ საკმაოდ გრძელ სიაში არ ჩანან შარშანდელი სეზონის განთქმული სნაიპერები მიულერი და რივა. მათ ავადმყოფობის გამო მატჩების დიდი რაოდენობა გააცდინეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. 4 აპრილი. საქართველოს პირველობა. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი). დასაწყისი 15 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი)—„სამცხე" (ახუური). დასაწყისი 15 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი). დასაწყისი 13 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დილა" (გორი). დასაწყისი 15 ს. გლდანის სტადიონი. „ინტერნატი" (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). დასაწყისი 15 ს. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). დასაწყისი 17 ს.

ცურვა. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. 4 აპრილი. თბილისის სპარტაკიადა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 04594